



ქ. თბილისში, ძმები კაკაბაძეების ქ. #7-ში განთავსებული  
შენობის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



ხელოვნებათმცოდნე: ქ. დარჩია

თბილისი  
2021

ჩვენი საკვლევი ობიექტი – ძმები კაკაბაძეების ქ. #7-ში განთავსებული შენობა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსს ატარებს<sup>1</sup> და თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში მდებარეობს. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული საცხოვრებელი სახლი თავისთავად ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია, როგორც მოცემული მიკროუბნისთვის, ისე საზოგადოდ თბილისის ურბანული სივრცისთვის. უდაო მხატვრულ-არქიტექტურულ ფასეულობასთან ერთად, რომლის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ელემენტს შიდა ეზოში განთავსებული ხის ხვეული კიბე (სურ. 27-29) წარმოადგენს, სახლს მემორიალური მნიშვნელობაც აქვს, 1909-1971 წლებში აქ ცნობილი ქართველი მსახიობი - სერგო ზაქარიაძე ცხოვრობდა. (ერთ-ერთი ქართული მხატვრული კინო ფილმის „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ რამდენიმე კადრი სწორედ აქ არის გადაღებული (სურ. 36-38).



სურ. 1<sup>2</sup>

### **უბნისა და მოცემული საკვლევი ტერიტორიის განვითარების ისტორია**


<sup>1</sup> საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება #3/181

<sup>2</sup> რუკა დამუშავებულია შპს „გეოგრაფიკის“ მიერ, ქ. თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით 2015 წელს განხორციელებული პროექტის “ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების კონცეფცია” ფარგლებში. ვარდისფრად აღნიშნულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მატარებელი შენობები, იისფრად - ნაგებობები, რომელთაც მიეცა რეკომენდაცია ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ყვითლად – ფონური ნაგებობები.

საკვლევი ობიექტი თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ უბანში – ვერაზე განთავსდება. ამდენად, მოცემული ტერიტორია ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრებში ექცევა. შესაბამისად, კვლევასაც საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის მნიშვნელობის გარკვევით დავიწყებთ, რისთვისაც უკანასკნელი საუკუნების მანძილზე თბილისის, უფრო ზუსტად კი ვერის უბნის განვითარების მოკლე ისტორიულ ექსკურსს შევთავაზებთ მკითხველს.


სახელწოდება ვერე, “ვერისახევი” უკვე XIII ს-ში გვხვდება. XVIII ს-ის წერილობით წყაროებში მდ. ვერეს ქვემო ნაწილში მოიხსენიება სოფელი ვერე, თუმცა ვერეს, როგორც სოფლის დასახელებას, უკვე XVII ს-ში ვხვდებით, იგი აზნაურ გაბაშვილის მამული იყო, თუმცა გარდა გაბაშვილებისა, მიწები აქ ქალაქელებსაც ჰქონიათ. ბალ-ვენახების გარდა ამ ტერიტორიაზე ბევრი წისქვილიც ყოფილა. სამწუხაროდ, ლიტერატურაში არ არის ზუსტი ცნობები იმის შესახებ თუ როდის გაჩნდა სოფელი; მეცნიერი და მოგზაური გიულდენ შტედტი, ქალაქის აღწერისას იხსენიებს ვერის ხიდს, სოფელ ვერის შესახებ კი არაფერს ამბობს.

ინფორმაციას ვერეს შესახებ ვახუშტი ბატონიშვილიც გვაწვდის, როდესაც ტფილისის აღწერილობაში მოიხსენიებს სკვირეთს, იგივე ვერას: “ხოლო კოჭრეთის ჩრდილოეთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ ბალი ვერე”. დროთა განმავლობაში სკვირეთი (სკორეთი) და ვერე კრებითი სახელი ხდება და აერთიანებს ტერიტორიას, მდ. ვერეს ქვედა დინებიდან თითქმის ელბაქიძის (ახლ. მიხ. ჯავახიშვილის) დაღმართამდე, იგივე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ამ ტერიტორიას ეკუთვნის ლურჯი მონასტერიც. ვერას სკვირეთის სახელით მოიხსენიებს ივ. ჯავახიშვილი 1923 წელს შედგენილ ისტორიულ რუკაზეც.



14286. Военно-Грузинская дорога. Вера, мостъ и сады 441.

სურ. 2. სამხედრო გზა, ვერის ხიდი, ბალები. დ. ერმაკოვის ფოტო. 1850-იანი წწ.



სურ. 3. ვერის ხიდი გადაკეთების შემდეგ



სურ. 4. ვერის ხიდი გადაკეთების შემდეგ.



უნდა ითქვას, რომ ვერის ტერიტორია უმნიშვნელოვანესი იყო საქალაქთაშორისო თვალსაზრისით. აქ გადიოდა დიღმის საქარავნო გზა, რომელიც შუასაუკუნეების ხანიდან არსებობს. იგი ამჟამინდელი გმირთა მოედნიდან ვერის ხიდით (სურ. 2, 3, 4)<sup>3</sup> კვეთდა მდინარეს და უბანს ორ ნაწილად - ზედა და ქვედა ვერედ ჰყოფდა. 1785 წლის რუკაზე დიღმის გზა უკვე რუსეთისკენ მიმავალ გზად მოიხსენიება.<sup>4</sup> XIX საუკუნის ბოლოს ქუჩას ოლღას<sup>5</sup> სახელი უწოდეს; საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი იგი ლენინის ქუჩად იქცა. (1921 წლის 21 სექტემბერს, გზის სახელდების დღეს ქუჩის დასაწყისში ლენინის საბჭოთა კავშირში პირველი ძეგლი დაიდგა).<sup>6</sup> 1990 წლიდან ქუჩა მერაბ კოსტავას სახელს ატარებს. ვერის უბანში გადიოდა რეგიონული მნიშვნელობის წყნეთის გზაც, რომელიც ძველად სწორედ ასე იწოდებოდა, 1867 წელს კი წყნეთის ქუჩის სახელი/კატეგორია მიენიჭა. 1924 წლიდან ქუჩა პ. მელიქიშვილის სახელობისაა. (ამჟამინდელი სახე მან მეტწილად 1948 წლის რეკონსტრუქციის შედეგად მიიღო).

ქალაქური განაშენიანება ვერის ტერიტორიაზე XIX ს-ის ბოლოს, 1880-იან წლებში დაიწყო და საუკუნის მიწურულს მისმა საზღვარმა ვარაზისხევის (ძველად ვარდისხევის) ტერიტორიას მიაღწია. ამ დროს აქ რამდენიმე სოფლური დასახლება ჩაისახა: ვარდისუბანი, ვაკე, საბურთალო.

ვარდისუბნის ტერიტორიას ეკავა ვარაზისხევის მარჯვენა მხარე, ყოფილი ვერეს ბაზრისა და ფილარმონიის მიდამოები. ვარდისუბნის სახელი ერქვა ამ ტერიტორიაზე ერთ-ერთ ქუჩასაც (ამჟამინდელი სიმონ ჯანაშია), რომელიც თურმე ასკილის ბუჩქებით ყოფილა დაფარული, სწორედ აქედან მოდის სახელწოდება “ვარდისუბანი”.

---

<sup>3</sup> ვერის ხიდი ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი თბილისის ხიდი იყო, სანამ გმირთა მოედნის რეკონსტრუქციას ემსხვერპლებოდა; იგი XVII საუკუნეში ააშენა თბილისის ზარაფთუხუცესმა ხოჯა ბეჰმუდამ, მას იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც: “ვერასა ზედა არს ხიდი დიდი ქვითკირისა.” ხიდი ნაწილობრივ გადაკეთდა 1856 წელს. 1932 წელს მის გვერდით ახალი დიდი სამშალიანი ხიდი ააგეს, ხოლო ძველი ხიდი 1981 წელს გმირთა მოედნის რეკონსტრუქციისას აიღეს. (თ. კვიციანი, ძველთბილისური დასახლებანი, თბილისი, 1985, გვ. 39).

<sup>4</sup> Неизведанный Тбилиси. Вер. გვ. 59

<sup>5</sup> კავკასიაში მეფისნაცვლის - ნიკოლოზ I-ის უმცროსი ვაჟის, მიხეილის მეუღლე ოლღა რომანოვა (1839-1891 წწ.) ქველმოქმედებით გამოირჩეოდა. თბილისში მან დაარსა კავკასიაში პირველი ქალთა გიმნაზია და სამეანო ინსტიტუტი. ეს უკანასკნელი სწორედ ოლღას ქუჩაზე მდებარეობდა (ამჟამინდელი ჩაჩავას კლინიკა).

<sup>6</sup> იქვე;




სურ. 5. ვარდისუბანი და ვაკე, 1920-იანი წლები.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, ქალაქის ზრდასთან ერთად თანდათანობით იზრდება მისი საზღვრებიც. ვერის უბნის განაშენიანება ნელ-ნელა მიუყვება რელიეფს და ფერდის ზედა ტერიტორიებს ითვისებს - თანდათან ყალიბდება ზემო ვერეს განაშენიანება. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე მოცემული ტერიტორია ტფილისის ერთ-ერთ უკიდურეს საზღვარს წარმოადგენდა. ამჟამინდელი შოთა რუსთაველის მოედნის მახლობლად დიდი ხევი იყო, რომლთანაც ქალაქის პოლიციის განყოფილება - “მოსკოვის საგუშაგო” იყო განთავსებული. 1870-იან წლებში ხევი ამოავსეს და მის მიმდებარედ მალევე სამხედრო დასახლება გაჩნდა. 1880-90-იან წლებში წარმოიქმნა ამჟამინდელი ბელინსკისა და ჭოველიძის ქუჩა (ქუჩის ძირითად ნაწილს 1990-იან წლებში თ. ჭოველიძის სახელი ეწოდა, ნაწილს კი ბ. ბელინსკისა შეუნარჩუნდა. 1923 წლამდე მას აგურის ქუჩა ეწოდებოდა, რადგან აქ აგურის გამოსაწვავი ქარხანა განთავსდებოდა. XX ს-ის დასაწყისში იწყება ქარხნების ქალაქის ფარგლებს გარეთ გატანა, ამ დროს გადააქვთ ზემოხსენებული საწარმოც).

ვ. ბარნოვისა და ძმები კაკაბაძეების ქუჩები, სადაც ჩვენი კვლევის ობიექტი განთავსდება, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, 1880-იან წლებში ჩამოყალიბდა. ჩანასახის სახით მათ ჯერ კიდევ თბილისის 1867 წლის გეგმაზე (სურ. 7) ვხედავთ, თუმცა სრულად ფორმირებული სახე მათ მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს მიიღეს. 1884 წელს ბარნოვის ქუჩას ლუნიბის ქუჩა ეწოდა (სახელი დაერქვა დალესტნის ერთ-ერთი სოფლის - ლუნიბის ციხესიმაგრის დაცემისა და შამილის დატყვევების

25 წლისთავთან დაკავშირებით),<sup>7</sup> ძმები კაკაბაძეებისას კი – მოსკოვისა. ღუნბის ქუჩა ე.წ. მოსკოვის საგუმბაგოსთან (ამჟამინდელი შ. რუსთაველის მოედანი) იწყებოდა სოფ. ვარდისუბნისკენ მიმავალ აღმართს აუყვებოდა. XIX საუკუნის ბოლოსთვის ღუნბის ქუჩამ იმდროინდელი თბილისის დასავლეთ საზღვარს – ვარაზის ხევს (მველად ვარდის ხევს) მიაღწია. (ქუჩის ამ ნაწილის ინტენსიური ათვისება და განაშენიანება, უფრო მოგვიანებით, 1920-იანი წლებიდან დაიწყო. XX ს-ის შუა ხანებში ბარნოვის ქუჩამ ვაკის პარკამდე მიაღწია). 1922 წელს ღუნბის ქუჩას სახელწოდება შეეცვალა და ვასილ ბარნოვის სახელი დაერქვა.<sup>8</sup>

მოსკოვის ქუჩას 1967 წელს გიორგი ლეონიძის სახელი ეწოდა, მაგრამ 1990 წელს, მას შემდეგ რაც ს. კიროვის ქუჩას ლეონიძის სახელი დაერქვა, ზემო ვერისკენ მიმავალ ქუჩას ჯერ დ. კაკაბაძის, შემდეგ კი ძმები კაკაბაძეების (ანუ დავითისა და სარგის კაკაბაძის) სახელი მიეცა.



სურ. 6. ბარნოვის ქუჩა და “სალდათის ბაზარი”, XIX ს-ის დასასრულის ფოტო

ვერის ტერიტორიის ქუჩათა ქსელის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი არსებულმა რელიეფმა ითამაშა. მოწესრიგებული ქუჩათა ქსელით ხასიათდება ვერეს უბნის მარჯვენა ნაწილი. ტერიტორიის მორფოლოგიასა და ტოპოგრაფიას მორგებული ქუჩების დაგეგმარება მთლიანობითა და პროპორციულობით

<sup>7</sup> ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“, თბ., 2008, გვ. 29

<sup>8</sup> მწერალი ხსენებულ ქუჩაზე, 16 ნომერ სახლში ცხოვრობდა (1918-1934 წწ.). 1940-50-იან წლებში ბარნოვის ქუჩამ ვაკის პარკამდე მიაღწია. XX ს-ის ბოლოს ქუჩის ვაკის ტერიტორიაზე განთავსებულ მონაკვეთს (მრგვალი ბაღიდან ვაკის პარკამდე) ეწოდა ირაკლი აბაშიძის სახელი.


გამოირჩეოდა. სწორედ მასშტაბის პროპორციული შეხამება განაპირობებდა ძველად სახლების ორგანულ კავშირს რელიეფთან. მჭიდროდ განლაგებული ერთი, ორ- და, იშვიათად, სამსართულიანი სახლების მონაცვლეობა რიტმულობის შთაბეჭდილებას ქმნიდა, მათი უწყვეტი ზოლი ქუჩის განაშენიანების მთლიანობას ემსახურებოდა.

ქუჩათა ქსელის ფორმირებისას, გარკვეული როლი ითამაშა სოციალურ ფენათა დიფერენციამ, რამაც განსაზღვრა პრესტიჟული სამოსახლო უბნებისა და დაბალი სოციალური ფენის სამოსახლოები. ქალაქის დაფერდებულ რელიეფზე იქმნება პრესტიჟული უბნები, ხოლო ზედა ქუჩები ამ თვალსაზრისით ნაკლებ მიმზიდველია (მათი უფრო ინტენსიურად ათვისება, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, XX საუკუნის დასაწყისში ხდება). ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, აისახა ნაგებობათა ხასიათსა და მშენებლობის ხარისხზე.


ვერის უბნის ისტორიულად ჩამოყალიბების პროცესსა თუ განვითარების დინამიკას კარგად ასახავს საარქივო მასალა, კერძოდ კი ქალაქის ძველი რუკები. თბილისის ადრეულ Y1782, 1821 წლის რუკებზე, მოცემული ტერიტორია არ არის მინიშნებული, რადგან ის ქალაქის საზღვრებში არ შედიოდა და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სოფლურ დასახლებას წარმოადგენდა.

ჩვენს ხელთარსებული ყველაზე ადრეული რუკა, სადაც ვერის ტერიტორიაა დატანილი, XIX საუკუნის შუა ხანას, 1867 წელს ეკუთვნის (სურ. 7); აქ ჯერ კიდევ არ არის უბანი სრულად ფორმირებული, იგი ჩამოყალიბების პროცესშია. 1884 წლისა და, მით უფრო, 1898 წლის გეგმებზე (სურ. 8, 9) კი უკვე კარგად ჩანს და მკაფიოდ გაირჩევა ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ურბანული ქსოვილი საიმდროოდ, პრაქტიკულად, ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელით, კერძოდ, ოლღას (დღეს მ. კოსტავას) ქუჩა, წყნეთის (ამჟამად პ. მელიქიშვილის გამზ.) ქუჩა, აგურის ქუჩა (ე.წ. Кирпичная улица, ამჟამინდელი ბელინსკისა და თ. ჭოველიძის), იზმაილოვის (დღეს მ. ზანდუკელის) ქუჩა და ზემოთ უკვე ხსენებული ღუნბისა (ვ. ბარნოვის) და მოსკოვის (ძმები კაკაბაძეების) ქუჩები.






სურ. 7. ქ. თბილისის 1867 წლის რუკა, ფრაგმენტი





სურ. 8. ქ. თბილისის 1884 წლის რუკა, ფრაგმენტი




სურ. 9. ქ. თბილისის 1898 წლის რუკა, ფრაგმენტი

1902 წლის რუკაზე (სურ. 10) ტერიტორიის განაშენიანებას უფრო მოწესრიგებული სახე აქვს. კიდევ უფრო მეტი რეგულარულობით გამოირჩევა 1907 და 1913 წლების რუკები (სურ. 11, 12), რომელზეც აშკარად იკვეთება ქუჩათა ქსელის დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, აღმავალი ხაზით განვითარების ტენდენცია, აქ უკვე ჩნდება ვ. გუნიას ქუჩა, ი. გოგებაშვილის შესახვევები და ჩიხები, თუმცა ჯერ კიდევ მხოლოდ ჩაუმოწყალიბებელი სახით. ამასთან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის განაშენიანებას მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ საცხოვრებელი სახლები შეადგენს, რადგან რუკების მოცემულ მონაკვეთზე მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა გვხვდება<sup>9</sup> ლუნიბის (დღეს ვ. ბარნოვის) ქუჩის კუთხეში. 1907 და 1913 წლების რუკების (სურ. 11, 12) ექსპლიკაციაში იგი აღნიშნულია როგორც “ამიერკავკასიის სტატისტიკური საბირჟო კომიტეტი”. როგორც ირკვევა, 1872 წელს აგებული შენობა (არქ. Е. Белый) წარმოადგენდა საშემოსავლო სახლს (მოქ. ენიკოლოფოვის საკუთრებას), სადაც ასევე განთავსებული ყოფილა რუსული საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება.<sup>10</sup> აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნაგებობა, ოდნავ გაზრდილი

<sup>9</sup> როგორც ცნობილია, ძველად რუკებზე მხოლოდ საკულტო, სამხედრო და ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ფუნქციის შენობები დაიტანებოდა, მათი აღნიშვნა კი ზემოთ ხსენებული ნაგებობის გარდა, რუკების მოცემულ მონაკვეთებზე არ გვხვდება.

<sup>10</sup> ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917, ტ. II; გვ. 126; Неизведанный Тбилиси. Вер. გვ. 98

მოცულობითა და შეცვლილი კონფიგურაციით, დღესაც დგას ვ. ბარნოვის ქუჩის კუთხეში, ჩვენი საკვლევი ობიექტის გადაღმა (XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში აგებულ, ნეოკლასიციკური სტილის ფასადის მქონე შენობას ამჟამად საცხოვრებელი სახლის ფუნქცია აქვს (სურ. 34).




სურ. 10. ქ. თბილისის 1902 წლის რუკა, ფრაგმენტი





სურ. 11. ქ. თბილისის 1907 წლის რუკა, ფრაგმენტი



სურ. 12. ქ. თბილისის 1913 წლის რუკა, ფრაგმენტი

ამგვარად, მოცემული ტერიტორიის ინტენსიური ათვისება-განაშენიანება XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, მეტწილად 1880-90-იანი წლებიდან იწყება და XX საუკუნის დასაწყისის, 1920-იანი წლების ჩათვლით ხდება. უბნის განაშენიანების დინამიკა ამჟამინდელი პ. მელიქიშვილის გამზირიდან (ძველად წყნეთის გზა, შემდეგ ოლღას ქუჩა (მისი ნაწილი დღეს მ. კოსტავას სახელს ატარებს), 1923 წლიდან კი პ. მელიქიშვილის ქუჩა) იღებს სათავეს და უბნისათვის დამახასიათებელი რთული რელიეფის კვალდაკვალ აღმავალი ხაზით ვითარდება; შედარებით უფრო “მაგისტრალური ხასიათის” მქონე აგურის (დღეს ბელინსკისა და თ. ჭოველიძის) ქუჩის გადამკვეთი იზმაილოვის (დღეს მ. ზანდუკელის), ღუნისის (ვ. ბარნოვის) და მოსკოვისა (ძმები კაკაბაძეების) და უფრო მცირე მასშტაბის ქუჩებით ფორმირებული ერთიანი ქსელი მთაწმინდის ჩრდილოეთ ფერდს მიუყვება და უშუალოდ მთის ძირს ებჯინება. ნიშანდობლივია, რომ სურათი თითქმის უცვლელია დღესაც, რაც ერთიორად ზრდის მოცემული უბნის ურბანული ქსოვილის აუთენტურობასა და შესაბამისად, მის ისტორიულ მნიშვნელობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი საკვლევ ტერიტორიის განაშენიანება, ერთი მხრივ, თბილისური ხის აივნის სახლებისაგან შედგებოდა, რომელთა გვერდითაც გვხვდება უფრო ევროპულ ყაიდაზე გამართული ფასადის მქონე სამსართულიანი შენობები (თბილისური ხის აივნებით ეზოსპირა ფასადზე). ჯერ

კიდევ შემორჩენილია ამგვარი, მცირე გაბარიტული, მეტწილად ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, მათ რიცხვს განეკუთვნება ჩვენი საკვლევი ობიექტიც. ზემოხსენებულ ნაგებობათა წყალობით უბნის მოცემულ ნაწილს ჯერაც შენარჩუნებული აქვს განაშენიანების საერთო ხასიათი, მასშტაბი თუ მორფოლოგია.

### **ძმები კაკაბაძეების ქ. #7**

ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტი – ძმები კაკაბაძეების ქ. #7-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლი – წარმოადგენს XIX საუკუნის მიწურულში აგებულ საშემოსავლო სახლს. რუსული გრაფემა „II“-ს ფორმის გეგმარების მქონე, ძველი ქართული აგურით ნაგებ სამსართულიან ნაგებობას (არსებული დამრეცი რელიეფის გამო სახლის პირველ სართულს ძმები კაკაბაძეების ქუჩის მხრიდან მაღალი ნახევარსარდაფის სახე აქვს) ძველთბილისური ტრადიციისამებრ, სტილისტურად სრულიად განსხვავებული ორი ფასადი აქვს. შენობის ძმები კაკაბაძეების ქუჩის წითელი ხაზის გასწვრივ განვითარებული მთავარი ფასადი საკმაოდ მიმზდველად გამოიყურება. ნეოკლასიციზმურ-ეკლექტიკური სტილის ფასადი (სურ. 13) ევროპულ ყაიდაზეა გამართული. პირველი სართულის რუსტირებული პილასტრებით, მეორე სართულის კორინთული ორდერის კანელურებიანი შეწყვილებული პილასტრებითა და სწორკუთხა კარ-სარკმლების ხშირი რიტმით დანაწევრებული ფასადი, ერთი შეხედვით, სიმეტრიული და მოწესრიგებულია.





სურ. 13

საფასადო კომპოზიციის მორგანიზებლად გვევლინება პილასტრები, რომლებიც კედელს სამ სეგმენტად ჰყოფს. სადარბაზოს ხის ორფრთიანი კარებითა და მეორე სართულის შეწყვილებული სარკმლებით მონიშნული სახლის კიდეებს პილასტრთა ფლანკირების წყალობით რიზალიტის სახე ეძლევა (სურ. 13). ამ ხერხით გამოიკვეთება ფასადის ცენტრი და მის მიმართ სიმეტრიული კიდეები. შენობის სართულები განსხვავებული სახითაა დამუშავებული და სხვადასხვა საშუალებით „გამახვილებული“, თუმცა ფასადის „მხატვრულ მეტყველებაში“ მნიშვნელოვან როლს სწორედ პლასტიკური მკულობა თამაშობს, კერძოდ, მეორე სართულის სარკმლების მცენარეული ორნამენტით დამშვენებულ კრონშტაინებს დაყრდნობილი დეკორატიული თარო-თავსართები, კანელურებიანი პილასტრების მასკარონებიანი კაპიტელები (სურ. 14, 15), ღიობთა ქალის, მამაკაცისა თუ პუტის თავებით დეკორირებული საჭექი ქვები (სურ. 16, 17. მათ შორის გამოირჩევა შენობის მარცხენა კიდეში მოქცეული სადარბაზოს კარის თაღოვანი მოჩარჩოების შემამკობელი მასკარონი წვეროსანი მამაკაცის გამოსახულებით (სურ. 18)) და ლითონის აჟურული აივნები<sup>11</sup> (სურ. 19, 20).

<sup>11</sup> ნიშანდობლივია, რომ სახლის მარცხენა მხარეს, მეორე სართულზე განთავსებული აივანი, დანარჩენი სამისგან განსხვავებით, ზომით პატარაა და ე.წ. ფრანგული აივნის ყაიდისაა, რადგან დამრეცი რელიეფის გამოისობით იგი ზედმეტად დაბლა ექცევა და, შესაბამისად, აქტიურად



sur. 14 - 18

ფასადს აგვირგვინებს სადა, პრაქტიკულად შეუმკობელი პარაპეტი, რომელსაც ქვეშ გასდევს პროფილირებული შვერილი კარნიზი დენტიკულებიანი ფრიზით.

იჭრება საზოგადოებრივ სივრცეში. როგორც ჩანს, ამის თავიდან ასაცილებლად, პროექტის ავტორი დათმობაზე წავიდა და ჩვეულებრივი აივანი ღიობს მიბჯენილი ფრანგული აივნით ჩაანაცვლა, რითიც, ერთი მხრივ, დაიცვა საფასადო კომპოზიციის სიმეტრიულობა, მეორე მხრივ კი - საჯარო სივრცესთან დელიკატური ურთიერთობა.





სურ. 19 - 26


ძმები კაკაბაძეების ქ. #7-ში განთავსებულ შენობას, როგორც სამემოსავლო სახლის XIX საუკუნის ბოლოს გავრცელებულ ნიმუშს, რამდენიმე სადარბაზო აქვს (კერძოდ, სამი). ყველა მათგანში ხის მოხარბებულ კარს შევყავართ. (მათი მდგომარეობა დღეს არც ისე სახარბიელოა). მეტ ყურადღებას იმსახურებს სახლის მარცხენა კიდეში მოქცეული სადარბაზოს ორფრთიანი კარი, რომელიც ხეზე კვეთილი ფსევდობაროკული ორნამენტითაა შემკული (სურ.21). სადარბაზოს

ინტერიერის საკმაოდ ვიწრო სივრცე აქ მოზაიკურად სხმულ კიბეს უჭირავს (სურ. 26). შენობის მარჯვენა მხარეს განთავსებულ სადარბაზოებს, (რომელთაგან ერთ-ერთს - ცალფრთიან კარიანს - იმთავითვე მეორადი ფუნქცია ჰქონდა და, სავარაუდოდ დამხმარე პერსონალისთვის იყო განკუთვნილი) ასევე ხის კარები აქვს, თუმც უფრო თავშეკავებული და ნაკლებად დეკორირებული (სურ. 24). დამხმარე სადარბაზოს ინტერიერი, სამწუხაროდ, მთლიანად გადაკეთებული და სახეცვლილია (სურ. 25), მეორეში კი საბედნიეროდ, შემორჩენილია სხმული მოზაიკური იატაკი, კიბე და ლითონის ორნამენტული მოაჯირი (სურ. 22, 23).


ეკლექტიკური ფასადის პლასტიკური შემკულობის ფსევდობაროკულ რეპერტუარში აქა-იქ იკითხება საიმდროოდ უახლესი არტ ნუვოს სტილისტიკის ნიშნებიც; ეს ეხება შენობის მარცხენა კიდეში მოქცეული სადარბაზოს კარის თაღოვანი მოჩარჩოების შემამკობელ მასკარონს წვეროსანი მამაკაცის გამოსახულებით ((სურ. 18) რომლის „სატირული გარეგნობაც“ საკმაოდ ტიპურია სტილ მოდერნისთვის), კანელურებიანი პილასტრების მასკარონებიან კაპიტელებს (სურ. 15), რიზალიტებზე განთავსებულ შეწყვილებულ სარკმლებს შორის მოქცეულ მცენარეულ დეკორსა (სურ. 14) და ლითონის კუთხეებმოგლუვებულ აჟურულ აივნებს. აღნიშნული მახასიათებლები ჩვენი საკვლევი ობიექტის აგების თარიღის XIX საუკუნის მიწურულით და, შესაძლოა, XX საუკუნის დასაწყისით განსაზღვრის უფლებას გვაძლევს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოცემული შენობის მთავარ ფასადზე არტ ნუვოს არქიტექტურული სტილი ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ გამოვლენილი და მხოლოდ გაუბედავი, ნაკლებჩამონაკვეთული სტილისტური რეპლიკის ნიშნებს ატარებს, ვფქირობთ, საკმარის არგუმენტს გვაძლევს იმისთვის, რომ შენობა 1890-იანი წლების ბოლოთი დავათარილოთ.







სურ. 27 - 32



სურ. 33 - 34



თბილისური საცხოვრებელი სახლის ტრადიციის თანახმად, ჩვენი კვლევის ობიექტსაც ორი განსხვავებული ფასადი აქვს; ევროპული სტილის ეკლექტიკურ ფასადს ვ. ბარნოვის ქუჩის მხარეს ქართული საცხოვრისის განუყოფელი ელემენტი – ეზოსპირა ფასადის მთელ პერიმეტრზე მოწყობილი ხის ღია გალერეა-აივნები აგრძელებდა. აივნები დღესდღეობით, პრაქტიკულად, ერთიანადაა შემინული და შუშაბანდად გადაკეთებული; გახსნილი აივნის სახით მხოლოდ მცირე ფრაგმენტიღაა შემორჩენილი (სურ. 32). გეგმაში რვაწახნაგა კვეთის მქონე, კუთხეებჩამოთლილი ხის სვეტები (სვეტების ზედა და ქვედა ნაწილი კვადრატულია), რომელთაც აივანი ეყრდნობოდა, დღეს შუშაბანდის ნაწილდაა ქცეული. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ეზოსპირა ფასადის პირველი სართული მოცემულ შემთხვევაშიც ძლიერ დამახინჯებულია გვიანდელი ამოშენება-მიშენებებით და სრულად აქვს დაკარგული პირვანდელი სახე. ამგვარი მოცემულობით ძმები კაკაბაძეების ქ. #7-ში განთავსებული შენობის შიდა ეზო სავსებით ჩვეულებრივი და „ბანალური“ იქნებოდა, რომ არა ეზოსპირა ფასადის კიდეში მოწყობილი, სამივე სართულის გამწვდენი ხის მოხარატებული ხვეული კიბე - სახლის მხატვრულ-არქიტექტურული სახის სრულიად უნიკალური ელემენტი. მისი წყალობით ჩვენი საკვლევი ობიექტის შიდა ეზო დღესაც კი ეფექტურად გამოიყურება და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე (სურ. 27-34). სრულიად სადა, სამიოდე სარკმლით დანაწევრებული აგურის კედლის გემოვნებითა და გამორჩეული ტაქტით მომრგვალებლ-მოგლუვებულ კუთხესთან<sup>12</sup> განთავსებული ხის ხვეული კიბე, როგორც სპირალისებური სტრუქტურის მქონე ერთიანი ცილინდრული კონსტრუქცია, მკვეთრად გამოდის ეზოსპირა ფასადის საერთო აბრისიდან. კიბე შენობის მთელ სიმაღლეს გასდევს, სახურავამდე ადის და მისივე რადიუსს გადმომცდარი ქოლგისებური გადახურვით გვირგვინდება, რის გამოც უფრო დასრულებულ, გარკვეულწილად, დამოუკიდებელ (თითქოს გვიანგაჩენილ) არქიტექტურულ კონსტრუქციად იკითხება. კიბის უჯრედის ამგვარი თამამი გადაწყვეტა, ვფიქრობ, მოწმობს, რომ ნაგებობის პროექტის ავტორსა თუ მშენებელს იმთავითვე ჰქონდა გააზრებული კიბის არა მხოლოდ ფუნქციური დანიშნულება, არამედ მხატვრულ-არქიტექტურული და ესთეტიკური მნიშვნელობა.

---

<sup>12</sup> უნდა ითქვას, რომ მოცემული შტრიხიც სტილ მოდერნის არქიტექტურული სტილის ერთ-ერთ გამოვლინებად გვესახება.



სურ. 33 - 35

საგანგებოდ უნდა ითქვას კიბის მძიმე ავარიული მდგომარეობის შესახებ. დღესდღეობით კიბე ამორტიზებულია; კიბის ხის კონსტრუქცია, პრაქტიკულად, ჩამოქცევის პირასაა მისული (რითაც განადგურების რეალური საფრთხე ექმნება, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ისე სახლის მაცხოვრებლებს); ხის საფხურების უმეტესობა დამპალი და ჩაცვენილია, მოხარატებული მოაჯირი ძლიერ დაზიანებულია, გარკვეულ ნაწილი კი დაკარგულია. მდგომარეობა დამძიმებულია ხანგრძლივი მოუვლელობის გამო, მით უფრო უკანასკნელ პერიოდში. როგორც უკვე ითქვა დასაწყისში, ქართული მხატვრული ფილმის „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ რამდენიმე კადრი 1959 წელს სწორედ აქ არის გადაღებული, სადაც ჯერ კიდევ სრულიად საღ კიბეს ვხედავთ (სურ. 36-38).<sup>13</sup>

<sup>13</sup> აქვე შეგვიძლია ვნახოთ ჯერ კიდევ ბოლომდე სახეუცვლელი ეზოსპირა ფსადის პირველი სართული (სურ. 37, 38)



სურ. 36 - 38 . კადრები მხატ. ფილმიდან ”დღე უკანასკნელი, დღე პირველი”, 1959 წ.

როგორც არქიტექტურულ მახასიათებელთა კვლევამ და ზოგადმა სტილისტურმა ანალიზმა აჩვენა, ჩვენი კვლევის ობიექტი XIX საუკუნის მიწურულს (სავარაუდოდ, 1890-იან წლების ბოლოს) განეკუთვნება. შენობა მნიშვნელოვანია ვ. ბარნოვისა და ძმები კაკაბაძეების ქუჩების, ისევე როგორც ვერეს უბნის საერთო ურბანულ კონტექსტში, იგი თბილისური საცხოვრებელი სახლის სივრცითი ორგანიზაციის, პრაქტიკულად, ყველა ტრადიციულ კომპონენტს შეიცავს. ძმები კაკაბაძეების ქ. #7-ში მდებარე შენობა მოცემული მხატვრული ეპოქისათვის დამახასიათებელი ეკლექტიზმით – ნეოკლასიციზმის, ფსევდობაროკული და არტ ნუვოს სტილის ელემენტებით დეკორირებული ფასადით, გარემოსთან შეფარდებული, ზუსტად მიკვლეული პროპორციითა და შიდა ეზოსკენ პირმიქცეული ხის გალერეა-აივნებით თბილისური საცხოვრებელი სახლის კიდევ ერთ თვალსაჩინო ნიმუშს გვთავაზობს, გამორჩეულ მახასიათებელს კი მას ზემოთხსენებული ხის ხვეული კიბე ანიჭებს. ძველთბილისური სახლის შიდა ეზოს კიბის ამ ერთ-ერთ იშვიათ და უნიკალურ ნიმუშს დღეს გადაუდებელი რეაბილიტაცია ესაჭიროება, რასაც, საბედნიეროდ, ისახავს კიდევ მიზნად მოცემული პროექტი.

### **რეკომენდაცია**

წარმოდგენილი საპროექტო წინადადება ითვალისწინებს ძმები კაკაბაძეების ქ. #7-ში მდებარე შენობის ეზოსპირა ფასადზე არსებული ხის ხვეული კიბის რეაბილიტაცია-რესტავრაციას. როგორც უკვე ითქვა ზემოთ, უნიკალური კიბის მძიმე ფიზიკური მდგომარეობა, რაც შეიძლება დროულ და პროფესიულად გამართულ ჩარევას ითხოვს. აღნიშნული ტერიტორია ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში ექცევა, მოცემული შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსსაც აატრებს, რაზეც კანონით დადგენილი დაცვის განსაზღვრული რეჟიმი მოქმედებს, ამდენად, ნებისმიერი სახის ფიზიკური სამუშაოს ჩატარება, თუნდაც კონსოლიდაცია-რეაბილიტაციის მიზნით, კანონით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციის სახით ვიტყვით შემდეგს:

- აუცილებელია ჩატარდეს პროფესიულად გამართულ სარესტავრაციო მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო სამუშაოები; ყველა სახის ფიზიკური სამუშაო უნდა შესრულდეს ზუსტი მეთოდოლოგიის დაცვით;
- ხის კიბის კონსოლიდაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ავთენტური მასალა;
- უნდა მოხდეს კიბის დეტალური რევიზია, ჯანსაღი დეტალების მარკირება, რათა შემდეგ ყველა მათგანი კუთვნილ ალაგს დაუბრუნდეს და მინიმალურამდე შემცირდეს ახალი მასალის გამოყენება;

- კიბის თავდაპირველი შეფერილობის დადგენის მიზნით, სასურველია, ჩატარდეს დღეს უკვე მრავალშრიანი საღებავის ქიმიურ-ლაბორატორიული ანალიზი.